სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State Teaching University

ბრძანება № 1-64

13 10 2017წ.

გორი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 07 ნოემბრის N09-204 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მართვის ორგანოების არჩევის წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს ზოგიერთი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით, დაინიშნოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები შემდეგ ფაკულტეტებზე:

ა) განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: სტუდენტი - 1;

ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: სტუდენტი - 1;

2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 16 ოქტომბერს და დასრულდეს 2017 წლის 25 ოქტომბერს, ხოლო არჩევნები ჩატარდეს 2017 წლის 31 ოქტომბერს.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მის.: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53, ოთახი 115.

4. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების დადგენილ ვადებში, მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 02 ოქტომბრის N1-64 ბრძანებით შექმნილ საარჩევნო კომისიას.

5. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას;

6. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

7. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის.

8. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

9. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA LEPL - GORI STATE TEACHING UNIVERSITY 218076542